29(184) 4.08.2000. პარასკევის გამოშვება 30 თეთრი

# ფანცვანია 2000



ბანკეტი
ძვ. შვედი
ჩოგბურთელი
„ოტელოს“ პერსონაჟი
პავანა
იოსელიანი
FM 105,9
მიხეილი
დას. საქ. საქმელი
ზოგჯერ წვიმა... (რას შვება?
ტენესის შტატის ადმ. ცენტრი
პიგმალიონის სატრფო
ძვირფ.ქვა
მარცხენა ტოპ-მოდელი (.....) ბანქსი
ძვ. ქალაქი მოსკოვთან
(....)ულენშპიგელი
რძის პროდუქტი
ლიმონათი
ქიმ.ჭურჭელი
ხის ფეხსაცმელი
ღვინის ჭურჭელი
„მონანიების“ რეჟისორი
ტკივილგამაყუჩებელი
სტუდენტის დამრიგებ.
თვითმფრინავი
სამანიშვილი
გარეული ფრინველი
უკმაყოფილების სიტყვა
ფრანგი სოფი
მანჯგალაძე
არაბიკა
გუცაევი
დაცინვის სახეობა
სახის ნაწილი
მწერალი (....) ლომთათიძე
პასეანსის ლევანი
ფარის ლიდერი
ურწმუნო
შოთიკო და აჩიკო
ქალაქი ყაზახეთ.
გულის საქმე
ნოტი
მ.ჯავახიშვილმა და აგვიანა
ილიას საყვარელი მდინარე
თბილისური გაკვირვება
ესპანელ კაცებს ჰქვიათ
ქათამი
ძველი თოფი
იაპონ. ვიდეო-აუდიო ფირმა
ძველ პურს აქვს
თევზის შთამომავალი
(......) გორდეზიანი
ინდოელთა ღვთიური პირუტყვი
მოზომილი ჭამა
დე მოპასანი
ბოსფორის და დარდანელის
ჭადრაკის ფიგურა
არჩევანის სიტყვა
ყაზბეგის რ სოფელი
თევზსაჭერი მოწყობ.
ზიჩი
სატირიკოსი არკადი
ნარჩევი
ღამის ფრინველი

**ანევრიზმა** - სისხლძარღვის შემოფარგლული გაგანიერება.
**ანევრინი** - ნივთიერება, რომელიც აუცილებელია ნერვული სისტემის ნორმალური მოქმედებისათვის.
**ანეკდოტი** - მოკლე, სახუმარო ამბავი.
**ანელექტროტონი** - ნერვის ან რომელიმე აგზნებადი ქსოვილის მდგომარეობის შეცვლა ანოდის არეში მუდმივი დენის მოქმედებით.
**ანელკა** - ფრანგი ფეხბურთელი.
**ანემია** - 1) სისხლნაკლებობა. 2) ქართული ფილმი.
**ანემო...** - ბერძნული წინსართი „ქარის“ მნიშვნელობით.
**ანემოგრაფი** - ქარის სიჩქარისა და მიმართულბის ავტომატურად ჩამწერი ხელსაწყო.
**ანემომეტრი** - ქარისა და აირის ნაკადის სიჩქარის საზომი ხელსაწყო.
**ანემოფილია** - მცენარეთა ჯვარედინი დამტვერვა ქარის საშუალებით.
**ანემოქორია** - მცენარეების ნაყოფის, თესლისა და სპორების გავრცელება ქარის საშუალებით.
**ანეროიდი** - დეფორმაციული ბარომეტრი.
**ანესთეზია** - მგრძნობელობის დაკარგვა ან შესუსტება.
**ანესთეზიოლოგია** - მეცნიერება გაუტკივრების შესახებ.
**ანეტო** - პირენეს მთების უმაღლესი მწვერვალი, 3404 მ (ესპანეთი).
**ანეული** - მინდორი, რომელიც მთელ სავეგეტაციო პერიოდში მრავალგზის მუშავდება სარეველებისაგან ნიადაგის გასაწმენდად, ზაფხულის ნახნავი შემოდგომის ხორბლის დასათესად.
**ანექსია** - სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის ძალდატანებით მითვისება.
**ანვარი** ალი ავჰად ალდინ - XII ს სპარსელი პოეტი.
**ანეზირინი** - დიპეპტიდი, რომელიც შედგება ამინომჟავების-მეთილპისტიდინისაგან.
**ანზიუსი** - სამხ.-პოლიტ. ბლოკი, აერთიანებს ავსტრალიას, ახალ ზელანდიას და აშშ-ს.
**ანთალია** - ქალაქი-კურორტი სამხრ. თურქეთში.
**ანთარა** - წინაისლამური ხანის (VI–VII სს) არაბი პოეტი.
**ანთარი** - 1) საქონლის მფარველი ქართული წარმართული ღვთაება. 2) ცხვირვიწრო მაიმუნების გვარი.
**ანთაქია** - ქალაქი სამხრ. თურქეთში.
**ანთაძე** დოდო - თეატრ. მოღვაწე და რეჟისორი.
**ანთება** - ორგანიზმის რთული რეაქცია სხვადასხვა ფაქტორის მოქმედებაზე.
**ანთელავა** ირაკლი - ისტორიკოსი.
**ანთერიდიუმი** - სპოროვან მცენარეთა მამრობითი სასქესო ორგანო.
**ანთეროზოიდი** - მოძრავი მამრობითი სასქესო უჯრედი, სპერმატოზოიდი.
**ანთოკი** - სოფელი საგარეჯოს რ.
**ანთოლოგია** - პოეზიის ნიმუშთა კრებული.
**ანთოფილიტი** - მინერალი, რომბული სინგონიის ამფიბოლია.
**ანთოქლორი** - მცენარის უჯრედის წვენში არსებული ყვითელი საღებარი ნივთიერება.
**ანთოციანები** - მცენარეული საღებარი ნივთიერებანი.
**ანთრაკა** - ავხორცობის სენი (საბა).
**ანთრაკი** - გრანატების ჯგუფის მინერალი, ძვირფასი თვალი.
**ანთრაკნოზი** - მცენარის სოკოვანი დაავადება.
**ანთრაკოზი** - ფილტვის ქსოვილის დამტვრიანება ნახშირის ნაწილაკებით.
**ანთრაქინონი** - ორგანული ნაერთი, ღია ყვითელი ფერის კრისტალები.
**ანთრაცენი** - ორგანული ნაერთი, კონდენსირებული არომატული ნახშირწყალბადი.
**ანთრაციტი** - მეტამორფული წიაღისეული ნახშირი.
**ანთროპო...** - ბერძნ. წინსართი, რომელიც აღნიშნავს მისი სიტყვის დამოკიდებულებას ადამიანთან.
**ანთროპოგენეზი** - ადამიანის ტიპის ისტ.-ევოლ. ჩამოყალიბების, მისი შრომითის საქმიანობის განვითარების პროცესი.
**ანთროპოიდები** - ადამიანის მსგავსი მაიმუნები.
**ანთროპოლოგია** - მეცნიერება ადამიანის წარმოშობისა და ევოლუციის შესახებ.
**ანთროპომეტრია** - ანთროპოლ. კვლევის მეთოდურ ხერხთა ერთობლიობა.
**ანთროპომორფიზმი** - ბუნების მოვლენათა, ცხოველთა და მცენარეთა, წარმოსახულ მისტიკურ არსებათა და სხვათათვის ადამიანის თვისებების მიწერა.
**ანთროპონიმი** - ადამიანის საკუთარი სახელი.
**ანთროპოფაგია** - იგივე კაციჭამიობა.
**ანთროპოქორია** - ადამიანის მიერ მცენარეთა უნებლიე გავრცელება.
**ანთროპოცენტრიზმი** - ფილოსოფ. მიმდინარეობა, რომლის თანახმადაც ადამიანი წარმოადგენს სამყაროს ცენტრს.
**ანი** - სოფელი ახალციხის რ
**ანიანი** - ქალაქი აღმ. ჩინეთში, ჰენანის პროვინციაში.
**ანიბა** - დასახლ. სამხრ. პუნქტი ეგვიპტეში, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.
**ანიდი** - პოლიამიდური ბოჭკოს ერთ-ერთი სახეობა.
**ანიერი** - ქალაქი საფრანგეთში, ო-დე-სენის დეპარტამენტში.
**ანივა** - ყურე ოხოტის ზღვაში.
**ანიზოგამია** - სქესობრივი პროცესი, რომლის დროსაც კოპულაციის მონაწილე სასქესო უჯრედები სხვადასხვა ზომისა და ფორმისანი არიან.
**ანიზოკორია** - გუგების უთანაბრობა.
**ანიზომერია** - ორგანიზმის, უჯრედის ან უჯრედის ორგანელების ერთნაირ ნაწილთა სხვადასხვაობა.
**ანიზოტროპია** - ნივთიერების ფიზ. თვისებათა არაერთგვაროვნება.
**ანიზოფილია** - ფოთლების არათანაბარი ზომა.
**ანითა** - ხეთების მეფე ძვ.წ. XIX-XVIII სს.
**ანიკუშინი** მიხეილ - რუსი მოქანდაკე.
**ანილინი** - უმარტივესი არომატული ორგანული ნაერთი, უფერული ან მოყვითალო ზეთოვანი სითხე.
**ანილინშავი** - შავი ფერის საღებარი.
**ანიმალისტი** - მხატვარი, რომელიც უმთავრესად ცხოველებს ხატავს.
**ანიმალური** - ცხოველთან დაკავშირებული.
**ანიმატიზმი** - პირველყ. რელიგიის ნიშანი, რომელიც ყველაფრის უპიროვნო სულიერობაში მდგომარეობს.
**ანიმიზმი** - პირველყ. ხალხთა რწმენა, რომ ყველა საგანს აქვს სული.
**ანინა** - ქალაქი დას რუმინეთში.
**ანიონი** - უარყოფითად დამუხტული იონი.
**ანისი** (ანი) - ქალაქი და ციხე-სიმაგრე შუა სს სომხეთში.
**ანისული** - ერთწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა.
**ანიუი** - მდინარე მაგადანის ოლქში (რუსეთი).
**ანიშხნარა** - ტბა აფხაზეთში, ბიჭვინთის კონცხზე.
**ანიჰილაცია** - ნაწილაკისა და ანტინაწილაკის სხვადასხვა ბუნების მქონე ფიზიკური ველების კვანტებად გარდაქმნის პროცესი.
**ანკარა** - თურქეთის დედაქალაქი.
**ანკარა** - სოფელი ონის რ
**ანკარა** - გველების გვარი.
**ანკარა** - სუფთა. კამკამა.
**ანკერი** - საათის სასხლეტი მექანიზმის ნაწილი.
**ანკერიტი** - მინერალი.
**ანკესი** - თევზის საჭერი მოწყობილობა.
**ანკეტა** - სხვადასხვაკითხვებიანი შესავსები ფურცელი.
**ანკეტირება** - სოციალური გამოკვლევის ერთ-ერთი ტექ. მეთოდი.
**ანკილოზავრები** - ცარცული პერიოდის მფრინავი დინოზავრების ქვერიგი.
**ანკილოზი** - სახსრის უძრაობა, რასაც იწვევს ძვლების სასახსრე ზედაპირების შეზრდა.
**ანკილოსტომოზი** - ხორციჭამია ცხოველის დაავადება.
**ანკლავი** - სახელმწიფოს ნაწილი ან მთლიანი სახელმწიფო, რომელსაც სხვა სახელმწიფო აკრავს გარს და საზღვაო ნაპირი არ აქვს.
**ანკლეშვარი** - ქალაქი ინდოეთში.
**ანკოლე** - სახელმწიფო XV-XVI სს სამხრ.-აღმ. აფრიკაში.
**ანკონა** - ქალაქი-პორტი იტალიაში
**ანკორიჯი** - ქალაქი აშშ-ში, ალასკის შტატში.
**ანოა** - პატარა ზომის ინდონეზიური კამეჩი.
**ანოდი** - დადებითი ელექტროდი.
**ანოლისი** - ხვლიკების გვარი იგუანისებრთა ოჯახისა.
**ანოლიტი** - ელექტროლიტი, რომელიც ეხება ანოდს და კათოდისაგან გამოყოფილია ფოროვანი ტიხრით.
**ანომალია** - ნორმისაგან გადახრა.
**ანომია** - სოც. ვითარება, როცა სამართლებრივი თუ სხვა ნორმები ველარ განსაზღვრავენ ადამიანთა ქცევას.
**ანონა** - 1) ძვ. რომში: ქალაქისათვის აუცილებელი წლის მოსავალი და პურის მარაგი. 2) ნაყოფიერების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში.
**ანონიმი** - უცნობი ავტორი.
**ანონსი** - წინასწარი განცხადება მომავალი სპექტაკლის ან კონცერტის შესახებ.
**ანორათა** - ბირმის მმართველი XI ს.
**ანორაკი** - ტყავის ან ნაქსოვი ზედა ტანსაცმელი.
**ანორექსია** - მადის დაკარგვა.
**ანორთიტი** - მინერალი.
**ანოსმია** - ყნოსვის უქონლობა.
**ანოტაცია** - წიგნის, სტატიის ან ხელნაწრის შინაარსის მოკლე დახასიათება.
**ანოფელისი** - იგივე მალარიის კოღო.
**ანოქსემია** - ჟანგბადის უქონლობა სისხლში.
**ანოქსია** - ჟანგბადის უქონლობა ორგანიზმში.

(2456)

(ენციკლოპედიის გაგრძელება შეგიძლიათ იხილოთ „ფანტაზია-2000“-ის სამშაბათის გამოშვებაში)

**ბატონებო და ქალბატონებო!**

imedi gvaqvs, rom Cveni sakrosvordo enciklpedia garkveuli interesis aRnZvrelia TqvenTvis da, ra Tqma unda, geqnebaT Sesabamisi SeniSvnebimis Sinaarssa Tu agebulebasTan dakavSirebiT. Cven didi interesiT movismeniT yvela Tqvens mosazrebas da gaviTvaliswinebT Cvens Semdgom saqmianobaSi.

dakidev:

Tu gagaCniaT informacia iseTi leqsikuri erTeulebis Sesaxeb, romlebic ar aisaxeba Cvens sakrosvordo enciklopediaSi, gTxovT mogvawodoT da, saerTod, viTanamSromloT.

**ალექსანდრე ელერდაშვილი**

# მრავალპროფილიანი უნგრული კროსვორდი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რ | ე | ზ | ბ | ე | ლ | ი | ბ | ა | რ | ა | დ | ი | ხ | ო |
| ი | ლ | ო | ნ | ა | ნ | ა | შ | შ | ა | თ | ე | ჭ | ო | რ |
| კ | ა | ვ | ი | ტ | ს | ი | ვ | ვ | ი | ლ | ნ | ი | ზ | ა |
| ა | ვ | ა | ლ | ს | ე | ი | ი | ლ | ი | ი | ო | ნ | ს | რ |
| რ | ფ | ნ | ე | ს | ფ | ლ | ი | ლ | უ | ფ | რ | უ | ტ | უ |
| ა | კ | ი | რ | ე | წ | ე | ვ | ყ | ტ | ა | ვ | ტ | რ | ვ |
| ს | ო | ა | ი | მ | ი | ნ | ა | ს | ე | ქ | ი | ც | ა | ი |
| ტ | ვ | ნ | ი | ი | რ | ა | მ | წ | მ | ა | ნ | ი | ი | ე |
| რ | პ | ფ | ო | რ | მ | ა | ი | ა | რ | ჩ | ა | ა | რ | თ |
| უ | ი | უ | ტ | ე | შ | ც | დ | ა | თ | ა | ვ | ხ | უ | ჭ |
| ქ | ტ | უ | რ | რ | ა | ი | დ | ა | რ | ე | ზ | ე | ჭ | ე |
| ე | ლ | კ | ა | ი | ვ | ე | ა | პ | უ | ხ | ე | ლ | ა | დ |
| ო | ც | ვ | ი | ე | ლ | ა | ტ | ს | ბ | ა | ნ | დ | ი | ე |
| პ | რ | ო | ბ | ძ | ა | ყ | ი | ა | პ | ს | ბ | ო | გ | ბ |
| ა | ტ | რ | ა | ი | ლ | ი | ვ | შ | ი | ჯ | ე | ი | ლ | უ |

1. ცნობილი დედოფალი უძველესი ისტორიიდან, ე.წ. „დაკიდული ბაღების“ მეპატრონე.
2. ქართული სამაისო - სააღდგომო კულინარიის შედევრი.
3. რა „ტიტული“ დაიმკვიდრა ნოსტრადამუსმა ჩვენს ცნობიერებაში.
4. კავკასიის ერთ-ერთი ისტორიული კარიბჭე.
5. მსხლის ჯიში, რომელსაც დაეძებდნენ ერთ ფილიმში ბაბუა და შვილიშვილი.
6. გაუკონტროლებელი ქმედებების მქონე ანუ როგორი... ჩვენებურად (სამი სიტყვისაგან შემდგარი).
7. ცხენოსანი ჯარი.
8. ელექტროენერგიის გამომმუშავებელი დანადგარი.
9. ერთ-ერთი ქართველი მეფე-პოეტი.
10. მდინარე აჭარაში.
11. რა იმართებოდა კომუნისტობისას ყოველ 1 მაისს და 7 ნოემბერს?
12. ხელოვნების ამა თუ იმ დარგის მიღწევათა ჩვენება.
13. ქართული გაზეთი.
14. XIX საუკუნის დიდი ქართველი პოეტი.
15. ცნება, რომელიც პოლიტიკოსთათვის პოლიტიკური ცხოვრების ამსახველად იქცა.
16. ქართველი მწერალი, ავტორი ისტორიული რომანისა „თავგადასავალი ბესარიონ გაბაშვილისა“ და „ოქროს ჩარდახი“.
17. ტექნიკის უკანასკნელი მიღწევა, რომელმაც ლამისაა გადარიოს თანამედროვე ახალგაზრდობა.
18. ამბავი ანუ რა ... არაჩვენებურად
19. დიდებული ქართველი მოჭიდავე, ყოველგვარი ტურნირების ჩემპიონი მძიმეწონოსანთა შორის.
20. შესანიშნავი ქართველი სპორტსმენი, რომის 1960 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სიმაღლეზე მხტომელთა შორის.
21. ავთანდილის თანამდებობა როსტევანის კარზე.
22. თავისი ვერაგობით და სილამაზით ცნობილი ძველეგვიპტელი დედოფალი.
23. რელიეფის ამაღლებული ნაწილი.

ჩვენს მკითხველს, ქალბატონ ლალი ტაბატაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ დიდ ცხოვრებისეულ ბედნიერებას!

*„ფანტაზია-2000“-ის რედაქცია*

# სპარსული სიტყვები ქართულ ენაში

*ამ რამოდენიმე წლის წინ, ირანში ყოფნისას ერთმა იქაურმა ბიზნესმენმა ერთხანს უსმინა რა ჩვენს ლაპარაკს და მისწვდა რა მის ყურს მისთვის ერთობ ნაცნობი სიტყვები, როგორებიცაა „ქუჩა, ფანჯარა, ქარხანა, ჩანგალი“ და მისთანები, ისე, ვითომ სასხვათაშორისოდ გვკითხა, თუ რამდენ პროცენტს შეადგენს სპარსული ლექსიკა ქართულ ენაში. მართალი გითხრათ, ეს კითხვა მოულოდნელიც იყო და შეურცხმყოფელიც, მაგრამ რაკიღა ფაქტებს ვერსად გავექცევით, ვუპასუხეთ, ალბათ, ხუთიოდე პროცენტი თუ იქნებაო, მაგრამ იმ ბიზნესმენმა რიხით განაცხადა - ჩვენი მეცნიერებისაგან მსმენია, რომ 25%-იაო; ჩვენ, რა თქმა უნდა, შევეწინააღმდეგეთ ამას და მას შემდეგ დავიწყეთ აღნუსხვა იმ სპარსული სიტყვებისა, რომლებიც ჩვენს ენაშია დამკვიდრებული. ამიერიდან პერიოდულად შემოგთავაზებთ ასეთ სიტყვებს.*

**ჩარფუზანა** - მართალია, ეს სიტყვა არცთუ ისე ხშირად იხმარება ჩვენს ენაში და განმარტებით ლექსიკონშიც კი არ არის დაფიქსირებული, მაგრამ ის შეგვხვდა სერგეი მიხალკოვის ერთი იგავის ქართულ თარგმანში, სადაც ერთი გახარებული კურდღელი თავისი დადებითი ემოციის რელიზაციას „ჩარფუზანას დაცხობით“ აპირებს. ვიმეორებთ, ეს სიტყვაა არაა დიდად გავრცელებული ჩვენს ენაში, მაგრამ მეტად ნიშანდობლივია, რადგან მისი სამივე ნაწილი (ჩარ+ფუ+ზან) სხვადსხვა სახით სხვა „ქართულ“ სიტყვებშიცაა დაფიქსირებული.

„ჩარ“ - ნარდის ნებისმიერმა მოთამაშემ იცის, რომ „ოთხია“.

„ფა“ - სპარსულად ფეხს ნიშნავს (აქ გვაქვს სახეცვლილი „ფუ“) და ეს სიტყვა სხვაგანაცაა დაფიქსირებული („ფიანდაზი“ - ორიგინალში არის „ფაიანდაზ“ - ფეხქვეშ გასაგები).

„ზან“ - ზმნური წარმონაქმნია და დარტყმას ნიშნავს (იგივე „ზარბა-ზან“ - ძალით დამრტყმელი).

ასე რომ „ჩარფუზანა“ სხვა არაფერია თუ არა ოთხი ფეხის დაცხობა.

**აქანდაზი** - აქ ქართულის მცოდნისათვის ყველაფერი გასაგებია, ამ საგნის ფორმაცა და დანიშნულებაც ნათელია, მაგრამ მის სპარსულობაში დიდხანს გვეპარებოდა ეჭვი, მიუხედავად იმისა, რომ ეს „ანდაზ“ (ისევ ის „ფიანდაზი“ გაიხსენეთ) აშკარად სპარსულია და გადამყრელ-გადამშლელს ნიშნავს. „აქ“ არ არის ის ადგილის მიმანიშნებელი სიტყვა რაც ყველამ ვიცით... მაშ, რა არის და რის გადაყრაზეა ლაპარაკი? რა თქმა უნდა ნაგვის, მაგრამ რა შუაშია „აქ“?

...და თურმე საქმე იმაში გახლავთ, რომ ესაა სპარსული სიტყვის „ხაქ“-ის ნარჩენი, რაც მიწასაც ნიშნავს და მტვერსაც და, როგორც ჩანს, „ხაქ+ანდაზი“ სპარსელთათვის უპირატესად მიწის სამუშაოებში იყო გამოსაყენებლი, თუმცა, ალბათ, ის ისევე გამოიყენებოდა ნაგვის გადასაყრელად, როგორც ჩვენი ნიჩაბი („ლაფათკა“) საჭირო შემთხვევაში.

**ბანოვანი** - აქ უცნაურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როცა ერთი ერთი მრავლობითი ფორმის სიტყვა მეორე ენაში მხოლობითად გადადის. „ბანუ“ სპარსულად „ქალს, ქალბატონს“ ნიშნავს „ან“ მრავლობითის მაწარმოებელია. შუაში „ვ“ კეთილხმოვანებისათვისაა ჩართული (ეს მოვლენა ახასიათებს თუნდაც ფრანგულ ენას). ასე რომ სპარსული „ქალბატონები“ (ბანუ-ვ-ან) ერთი ქართველი ქალი გახდა....

**...გაუგებარი მხოლოდ ისაა, თუ რაში დასჭირდათ ჩვენს წინაპრებს ამ სიტყვების შემოტანა?!**




1. დამცინავი მოხსენიება ბიჭისა, რომელსაც ქალის თვისებები ახასიათებს ან ბაავს ქალს (3). 2. სამხრეთ ამერიკის უმაღლესი მწვერვალი (6). 3. ჩვენი ტარიელისათვის კარგად ნაცნობი მინდვრის ფრინველი (2). 4. რა არის გრიზლი და პანდა თავისი არსით? (7) 5. სასწავლო-საკვლევი დაწესებულება (3). 6. ერთ-ერთი გვარი, რომელიც სამარადისოდ შემორჩა მეორე მსოფლიო ომის დამამთვარებელ ისტორიას (4). 7. გვარი მეცნიერისა, რომელიც დაენათლა ერთ შეფერილ ინფექციურ დაავადებას (6). 8. ინგლისელი სოციოლოგი, ავტორი გახმაურებული წიგნისა ადამიანთა შორის ურთიერთობების შესახებ (9) 9. ქალაქი თანამედროვე რუსეთში (5). 10. ეული და ობლადშთენილი ანუ როგორი? (კომპოზიტი) (3). 11. გვარი რუსი თეთრგავრდიელი ოფიცრისა, რომელიც მის მიერ 1917 წლის 25-31 აგვისტოს წამოწყებულ აჯანყებას დაენათლა (10). 12. სანაოსნოდ გამოსადეგი წყლის სივრცე (8). 13. სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი (7). 14. ტექნიკური დანიშნულების სქელი ქაღალდი (2). 15. უმაღლესი თანამდებობის პირი ძველ საბერძნეთში, ათენში (10). 16. ლაპარაკის უნარს მოკლებული ანუ როგორი? (3) 17. სამხედრო პირი (2). 18. ნოსტალგიური ელფერის მქონე ქართული მხატვრული ფილმი (4). 19. აზერბაიჯან(ნახიჭევან)-ირანის სასაზღვრო პუნქტი (8). 20. მოკლე ჩანაწერების სახესხვაობა (3). 21. დამხმარე პირი ხელოვნებასა და ტექნიკაში (5). 22. სოფელი ხაშურის რაიონში (7). 23. დაასრულეთ ფრაზა: „მოართვეს, გასცა უზომო, უანგარიშო (........)“ (3). 24. ევროპის ერთ-ერთი ახლადწარმოქმნილი სახელმწიფო (6). 25. ძლიერი სიცხე, პაპანაქება. (4). 26. ქალაქი აშშ-ს ჩრდ ნაწილში, ოჰაიოს შტატში (9) 27. რუსი ჯარისკაცი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი გმირობა ჩაიდინა (6). 28. თუ გახსოვთ, რა ჰქვია კონსტანტინე გამსახურდიას რომანის, „ვაზის ყვავილობის“ პერსონაჟს, გვარად უჯირაულს? (8) 29. უმაღლესი სასავლებლის მასწავლებლის ერთ-ერთი ტიტული (2). 30. ტექნიკაში გამოყენებული დანადგარი ბრტყელი ფორმების მისაღებად (3). 31. დასავლეთ საქართველოს მდინარე (1). 32. საცხენოსნო სპორტის ერთ-ერთი ამერიკული სახესხვაობა (7). 33. არგენტინელი ფეხბურთელი, რომელმაც 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ერთ-ერთი გოლი გაიტანა (8). 34. რა გრამატიკული კატეგორიაა შემდეგი ზმნური მოვლენა: გააკეთა - გაიკეთა - გაუკეთა (6). 35. პრიზი, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულად ითვლება თანამედროვე ჩოგბურთში (9). 36. იგივე აფთარი, ასე ვთქვათ მეცნიერულ ენაზე (6). 37. რუსეთის ავიაკომპანია (3). 38. რა ჰქვია ალესანდრე ბელიაევის ცნობილი რომანის - „ადამიანი ამფიბიას“ - მთავარ პერსონაჟს? (7) 39. ძველ რომში: საცხოვრებელი სახლის შიგნითა, დახურული ეზო (10). 40. სახელი მოჭადრაკისა, რომელმაც ორჯერ ძალიან გაახარა საბჭოეთის დიდი ბელადის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გული (5).

ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 220

პასუხები იხილეთ მე-14 გვარდზე

## ანონსი



**თარაზულად:**

1. XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მხატვარი. 4. პამიდვრის ცხარე საკმაზი არაჩვეიებური წარმოშობით. 7. ბანანი... ოღონდ (რატომღაც?!) „საფეიქრო“. 10. ზედა სამოსი, რომელიც ჩვენს მამაკაცებს მხოლოდ სალიტერატურო ენაში „აცვიათ“. 17. საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწე. 18. მწერების შემსწავლელი მეცნიერება. 19. აღმოსავლური წარმოშობის ხორციანი სადილი. 22. მოძრავი ჩამწკრივებული სუბიექტები... ასევე აღმოსავლური წარმოშობით. 23. ასე ვთქვათ, სცენის „გვარდიელი“ ქალი... ანუ? 24. კაცი, რომელიც არტემიდეს ტაძრის გადაწვით შევიდა ისტორიაში. 27. შედარებით ჩქარი ტემპი მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისა. 28. ქალთა კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი. 29. ასე ვთქვათ, „მღვრიე წყალი“ პოლიტიკურ ცხოვრებაში. 34. ტურგენევის ყველაზე ცნობილი ნაწარმოები. 35. სრულ მზადყოფნაში მყოფი ანუ როგორი? 36. თუ გჯმენიათ, რა ერქვა კაცს, რომელსაც სომხური ანბანის შექმნას მიაწერენ. 37. არცთუ დიდი მდინარე გერმანიისა. 41. თოჯინა, რომელსაც ხშირად სხვის ნებაზე მოპროწიალე პოლიტიკოსს ადარებენ. 42. მზის სისტემის ერთ-ერთი პლანეტა. 43. ალბათ, ყველაზე ცნობილი კლდიაშვილისეული პერსონაჟი... ანუ მისი სახელი. 48. სერგეი ესენინის „სპარსული მოტივების“ პერსონაჟი ქალი. 49. ბიჭუნა ჩარლზ დიკენსის შემოქმედებიდან. 50. მიმდინარეობა თანამედროვე შავკანიანთა მუსიკაში. 51. ფრანგი კომპოზიტორი, კლასიკური ოპერეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 55. ძველბერძენი ფილოსოფოსი ქალაქ აბდერიდან. 56. მოხეტიალე მომლოცველი ევროპული სინამდვილიდან. 57. პატარა ზომის დანა. 62. თანამედროვე რუსი კინომსახიობი ქალი, თუნდაც რაზანოვის ფილმიდან „ფლეიტის“ შესახებ. 63. ვინ იყო თავის ზოგადსპორტული სტატუსით ბატონი რობერტ შავლაყაძე, რომის ოლიმპიადის ჩემპიონი? 64. მოსკოვის კრემლის ერთ-ერთი იტალიელი ხუროთმოძღვარი. 67. ერთგვარი დიდი ზომის თევზი. 68. სამთოკლიმატური კურორტი შვეიცარიაში, ქალაქ ბერნის მახლობლად. 69. ქართული ესტრადის ერთ-ერთი ცნობილი მომღერალი და მსახიობი... მეტად იუმორისტული იმიჯით. 73. გრძნობა, რომელსაც ასრულება ხშირად არ უწერია. 74. ეს სახელი ერქვა ცნობილ ქართველ მსახიობს (თუნდაც ფილმებიდან („ხევსურული ბალადა“, „ჩვენი ეზო“, „ზოგი ჭირი მარგებელია“ და სხვა). 75. გაჯიუტებულ-გაოჩნებული ადამიანის „ინვენტარი“ ერთ ხატოვან გამოთქმაში. 76. ჭიშკარი აკუტაგავა რიუნოსკეს შემოქმედებიდან. 77. ხელოვნური წყალსატევი. 82. თანდაყოლილი გონებრივი სისუსტე. 83. ახალი ზელანდიის კუთვნილი მარჯნის კუნძულები წყნარ ოკეანეში. 84. ევროპელ თავადაზნაურთა საწარჩინებულო ტიტული. 89. სომალის დედაქალაქი. 90. ქალაქი აშშ-ში, ვისკონსინის შტატში. 91. ცნობილი მსახიობი პიტერ..... რა გვარი? 92. თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო შემოქმედი. 96. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ორგანიზმის მგრძნობიარობის მკურნალ დარგს მედიცინისას. 97. ინგლისელი პოეტი ალჯერნონ ჩარლზ... (1837-1909). 98. პროფილაქტიკური სამედიცინო ღონისძიება. 102. ისტორიის მუზა. 103. ეფრეიტორი ერთი არცთუ ისე ძველი რუსულ-საბჭოური ფილმიდან, რომელსაც შვიდი საცოლე ჰყავდა. 104. კახეთის მეფეთა რეზიდენცია. 105. ქალის სახელი, რომელსაც მსგავსი „პარალელური“ მამაკაცური სახელი გააჩნია. 110. რა ჰქვია ფეხბურთელს, რომელმაც 1980-2000 წლების ყველა დიდ საფეხბურთო ტურნირში მიიღო მონაწილეობა? 111. პარიზის სასაფლაო. 112. ჩეხეთის ცნობილი (დეფისიანი) კურორტი. 116. ძირითადი გაბატონებული იდეა. 117. ცნობილი თანამედროვე ქართველი ლიტერატურათმცოდნე, ბატონი ჯანსუღი. 118. ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატი. 122. დიდი რუსი პიანისტი, ჰენრიხ... (1888-1964). 123. დამუშავებული ალმასი. 124. ალჟირული წარმოშობის ცნობილი ფრანგი მწერალი. 125. მეტად პოპულარული და თანამედროვეტიპიური ამერიკული „სიტყვა“. 129. ალპიური ყვავილი. 130. ქალაქი აშშ-ში, ოჰაიოს შტატში. 131. სუბიექტი, რომლის არსებობა ჩვენს სიფხიზლეს განაპირობებს. 136. (......) კრისტელი, ჰოლანდიელი კინომსახიობი ქალი ემანუელას შესახებ არსებული სერიალიდან. 137. სამოსის ფორმა, რომელშიც მკლავი და ძირითადი ნაწილი ერთი ნაჭრისაგანაა გამოჭრილი. 138. ძველბერძენი მეიგავე. 139. XX საუკუნის დასაწყისის საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი. 140. მრავალხმიანობა მუსიკაში. 141. ლითონთან დაკავშირებული არასასიამოვნო პროცესი. 142. სურინამის დედაქალაქი.



**შვეულად:**

1. რაიმე ავადმყოფობის პერიოდული შეტევა. 2. მხატვრული ფილმი ლაიზა მინელის შემოქმედებიდან. 3. სპორტული მსაჯის ინვენტარი. 5. საერთო ევროპული ფული. 6. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. 8. მცირე ზომის წიგნაკი. 9. (........) მონე, ფრანგი იმპრესიონისტი. 11. გრამოფონის ფირფიტაზე ჩაწერილი ხმის გამაძლიერებელი საშუალება. 12. ქიმიური ელემენტი, ნახევარგამტარი. 13. რუდოლფ ერიხ რასპეს მიერ შექმნილი ზღაპრული პერსონაჟი. 14. ჯგუფური ცეკვების შემსრულებელი საბალეტო დასი. 15. ქალაქი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, სადაც პირველად ჩვ.წ.აღ. 325 წელს მსოფლიო საეკლესიო კრება გაიმართა. 16. ინგლისელი ასტრონომი, რომლის გვარი ერთ-ერთ კომეტას დაენათლა. 20. სპილენძის, კალისა და დარიშხანის შენადნობი. 21. ოლქი აშშ-ს სამხრეთ ნაწილში, სადაც უილიამ ფოლკნერის მრავალი ნაწარმოების მოქმედება ვითარდება. 25. მედიცინის დარგის მუშაკი. 26. „ძვალთან“ დაკავშირებული ბერძნული წინსართი. 30. ამა თუ იმ სახელმწიფოში საქონლის იმპორტის და ექსპორტის აკრძალვა. 31. ხელოვნების გენიალური ქმნილება თავისი „სტატუსით“. 32. ევროპა-აზიის გამყოფი რეგიონი. 33. კარლო კოლოდის ლიტერატურული ბიჭუნა. 38. როგორი ბანაკები არსებობდა სსრკ-ში ბავშვებისათვის? 39. თანამედროვე იტალიელი კინორეჟისორი, მიქელანჯელო...

40. **იხილეთ ფოტო**.

44. ზოდიაკალური თანავარსკვლავედი. 45. დასვენების დღეების წინადღე. 46. დედამიწაზე არსებული ერთ-ერთი ცოცხალი სამყარო. 47. ღამის პეპელა. 52. ვაზის „პროდუქტი“. 53. აშშ-ს პრეზიდენტი, რომლის პოლიტიკური კარიერა „უოტერგეიტის საქმეს“ შეეწირა. 54. პრაქტიკული მოღვაწეობისადმი, ცდისადმი მიდრეკილება თეორიული კვლევის საზიანოდ. 58. მსოფლიოს უძველესი ქვეყნის შემსწავლელი სპეციალისტი. 59. მაქსიმ გორკის ნამდვილი გვარი. 60. ცენტრს მოშორებული რეგიონი. 61. კვიპროსის დედაქალაქი. 65. ავტორი რომანისა „ამაოების ბაზარი“. 66. ერთადერთი კუნძული მსოფლიოში, სადაც სამი სახელმწიფოს ტერიტორიაა განლაგებული. 70. სქესობრივად გულგრილი ქალი (როგორი?). 71. რა ჰქვია ფორტუნატოს მამას პროსპერ მერიმეს ცნობილ ნოველაში. 72. თანამედროვე ბოსნიელი კინორეჟისორი, დღეს მსოფლიო კინოს ერთ-ერთი ლიდერი. 78. რაიმე ფაქტის საჯაროსაქვეყნო განხილვა. 79. ბატონი რომანი, ბერძნული ლიტერატურის მთარგმნელი ქართულ ენაზე. 80. მაღალი ნაგებობის სახესხვაობა. 81. (......) ხეთაგუროვი. 85. ფრანც კაფკას რომანი. 86. ისლამური სამოთხის ბინადარი მშვენიერი ასული. 87. ზამთრის XVI ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი. 88. ფსიქო-ფიზიკური მოქმედების სრული დაქვეითება. 93. ის, რის არქონასაც გიორგი მახარაშვილი არკადი ერშოვს შესჩიოდა. ოციანი წლების ლეგენდარული ფინელი მძლეოსანი სტაიერი, რომელსაც ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე ძეგლიც კი დაუდგეს. 95. ძალადობრივი ჩარევა უცხო სახელმწიფოს შინაურ საქმეებში. 99. ქსოვილების ორგანოების ან მთელი ორგანიზმის კვების დარღვევა. 100. ამა თუ იმ დაწესებულების საჯარო წარდგინება. 101. როგორია ჰანს ქრისტიან ანდერსენის ერთი ცნობილი მეფე? 106. დიდი მონასტრის წინამძღვარი. 107. XIX საუკუნის ერთი დიდი ქართველი პოეტის ფსევდონიმის შემადგენელი ნაწილი. 108. ალექსანდრე დიუმა-მამას შემოქმედების ყველაზე ბრძენი აბატი. 109. გასაყიდი საქონლის ფასების ცნობარი. 113. დოღის მონაწილე მხედრის ზედა სამოსი. 114. ჯადოსნურ-მაგიური თეორიებისადმი მიდრეკილება. 115. არაბული სახელმწიფო. 119. კაცი, რომელიც ამტკიცებდა, რომ „შრომამ შექმნა“ ადამიანი. 120. XX საუკუნის ინგლისელი მწერალი ჯონ ბოინტონ.... 121. აშშ-ს ოცდამეშვიდე პრეზიდენტი, (1909-13). 126. რუსულენოვანი (ოდესელი) ებრაელი მწერალი, ისააკ... 127. შავი ზღვის კურორტი კრასნოდარის მხარეში. 128. პოლიგრაფიული საწარმო. 132. იგივეა, რაც გუმანი. 133. მამაკაცის იტალიური სახელი (ბეარზოტი, შიფო და სხვები). 134. ბერძნული აბანის ასო. 135. გარეული ქათამი.

**შეადგინა**
**ალექსანდრე ელერდაშვილმა**



# ფანტაზიორი

რუბრიკას უძღვება
ვახტანგ ელერდაშვილი
(პასუხები მე-14 გვერდზე)

***კითხვა №1***

ბევრისათვისაა ცნობილი ე.წ. „დალაქის პარადოქსი“, ანუ: ერთი პატარა ქალაქის დალაქი, მეფის ბრძანებით და სიკვდილის შიშით, თავის ქალაში პარსავს მხოლოდ მათ, ვინც თავად ვერ იპარსავს. ამ ბრძანების თანახმად, საკუთარი წვერი თავად რომ გაეპარსა დანაშაულს ჩაიდენდა და რომ არ გაეპარსა მაინც დამნაშავე იქნებოდა. ამგვარი პარადოქსი ერთხელ ერთმა ინგლისელმა მათემატიკოსმა ბერტრან რასელმა შეთხზა XX ს დასაწყისში და ეს ერთ-ერთი თანამედროვე მათემატიკური თეორიის საფუძველი გახდა. არადა, ამ პარადოქსს აქვს მარტივი და დახვეწილი გამოსავალი, რაც რასელმა ვერ გაითვალისწინა...

**რა საშუალება არსებობს საიმისოდ, რომ საბრალო დალაქი მეფემ სიკვდილით არ დასაჯოს? (11 ქულა)**

***კითხვა №2***

სერგო ორჯონიკიძე რომ გარდაიცვალა, ერთმა ჩეჩენმა პოეტმა გამოაქვეყნა გლოვა-მწუხარებით აღსავსე ლექსი ამ ფაქტთან დაკავშირებით. როგორც მაშინ ხდებოდა, შეიკრიბნენ ჩეჩენი მწერლები და ხსენებული პოეტის ლექსი ქება-დიდებით აღავსეს. პოეტს ქებისაგან გული აუჩუყდა და საზეიმოდ დაიფიცა, რომ უკეთეს ლექსს დაწერდა, როცა... თუმცა ამ სიტყვების გამო თავად საბრალო ჩეჩენი პოეტი საიქიოში გააგზავნეს (...დახვრიტეს).

**რა თქვა იმ საბრალო ჩეჩენმა პოეტმა? (9 ქულა)**

***კითხვა №3***

ხანძარი შეიძლება გაჩნდეს მრავალი მიზეზით: ბავშვების მიერ ასანთთან თამაშით, მეხის დაცემით და თვით წვიმის წვეთის დაცემითაც კი გამოუწვავი კირის ორმოზე. მაგრამ არის ცნობილი ფაქტი, როცა საცხოვრებელი სახლის დაწვის მიზეზი ყინულის ნატეხი გახდა...

**როგორ? (10 ქულა)**

***კითხვა №4***

40-50-იანი წწ ცნობილი რუსი კონომსახიობი ბორის ანდრეევი (როგორც მრავალი მისი თანამემამულე) ლოთობის დიდი მოყვარული გახლდათ. ერთხელ, გასტროლებზე ყოფნისას, რომელიღაც პროვინციულ ქალაქში, მან ისეთი კოლოსალური ღრეობა მოაწყო, რომ ამ ღრეობის დასასრულს ერთ შესაბამის ორგანიზაციაში სავსე სამელნის დაცლაც კი მოუხდა. თუ მიხვდებით იმ „შესაბამისი“ ორგანიზაციის სტატუსს, მაშინ ადვილად გაიაზრებთ, თუ...

**რატომ დალია ბორის ანდრეევმა მელანი? (8 ქულა)**

***კითხვა №5***

ერთი ვერსიის თანახმად, პირველად ეს ჩინელებმა ხიმ და ხომ გააკეთეს ჩვენს ერამდე 2640 წელს. მათს შემდეგ ეს კიდევ ერთხელ გააკეთეს ჩინელებმა, ოთხჯერ - ინდოელებმა, ერთხელ - ირლანდიელებმა, ხუთჯერ - ვიკინგებმა და ერთხელ არაბებმა. თუმცა ერთმა იტალიელმა ეს საბოლოოდ და რეალურად გააკეთა...

**რა? (6 ქულა)**

***კითხვა №6***

პირველი ორანჟერეები შუა საუკუნეების საფრანგეთში გაჩნდა და, მისი სახელიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთი გარკვეული რიგი მცენარეების მოშენებისათვის იყო საჭირო...

**რომლების? (10 ქულა)**

***კითხვა №7***

1961 წელს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე იმ დროის დედამიწის უძლიერეს ძალოსანთან იური ვლასოვთან გასახდელში ერთი ყმაწვილი შეიპარა; მან აუხსნა ვლასოვს,რომ ეს გააკეთა ერდადერთი მიზნით - ენახა დედამიწის ყველაზე ღონიერი ადამიანი და მისგან ორიოდე სიტყვა მოესმინა. ვლასოვმა ყმაწვილს დაახლოებით ასეთი რამ უთხრა - „თუ გინდა, ღონიერი იყო, უნდა ბევრი იმუშავო“-ო. ყმაწვილმა ეს დარიგება მთელი სისრულით გამოიყენა ცხოვრებაში..

**ვინ იყო ეს ყმაწვილი? (10 ქულა)**

***კითხვა №8***

როგორც წესი ავტომობილში გვერდითი ფანჯრების ჩაწევა შეიძლება. ცნობილი ამერიკელი განგსტერის ალ კაპონეს „კადილაკში“ კი უკანა შუშის ჩაწევაც შეიძლებოდა...

**რა მიზნით? (9 ქულა)**

***კითხვა №9***

ცნობილია ასეთი ჩინური ლეგენდა:

ერთხელ ერთმა უზარმაზარმა დრაკონმა დედამიწაზე 6000-მდე კილომეტრი გაიარა ერთი მიმართულებით და მისმა უზარმაზარმა კუდმა გზაზე ნაკვალევი დატოვა; შემდეგ მოვიდნენ ადამიანები და გააკეთეს...

**რა? (11 ქულა)**

***კითხვა №10***

აშშ-ს შტატ ინდიანას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მთავარი შენობა ყოველწლიურად ერთი დუიმით ჩადის მიწაში. ეს კი ერთი უნებლიე დაუკვირვებლობის გამო ხდება, ანუ იმიტომ, რომ არქიტექტორებმა ვერ გაითვალისწინეს აღნიშნული შენობის სპეციფიკა...

**მაინც რა არის მიზეზი აღნიშნული ბიბლიოთეკის მიწაში ჩაშვებისა? (12 ქულა)**

***კითხვა №11***

გამოცანა:

თავში მხოლოდ კბილები აქვს...

**რა არის? (4 ქულა)**

***კითხვა №12***

1896 წლის 3 იანვარს ავსტრიის დედაქალაქ ვენის გაზეთ „ახალ თავისუფალ პრესაში“ დაიბეჭდა სურათი ქალის ხელის მტევნისა, რომელსაც უსახელო თითზე საქორწინო ბეჭედი ეკეთა. ამ ქალს სახელად ბერტა ერქვა...

**რა გვარი იყო ეს ბერტა? (11 ქულა)**



**ფოტოხუმრობები**



## 4 აგვისტო

**ამ დღეს დაიბადნენ:**

**1792** წ - პერსი ბიში შელი (Percy Bysshe SHELLEY)- ინგლისელი პოეტი-რომანტიკოსი. **1859** წ - კნუტ ჰამსუნი (პედერსონი) - ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურატი 1920 წელს. **1900** წ - ელისაბედი - ინგლისის დედა-დედოფალი. **1901** წ - ლუი არმსტრონგი - ამერიკელი ჯაზის გენია. **1929** წ - იასირ არაფატი - პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის პრეზიდენტი.

**მოვლენები:**

**1777** წ - გადამდგარმა უფროსმა სერჟანტმა ფილიპ ესტლიმ ლონდონში გახსნა პირველი ცირკი. **1906** წ - იტალიური იალქნიანი ხომალდი „Strio“, რომელიც ამერიკაში ემიგრანტებით დატვირთული მიეშურებოდა, პალასის კონცხთან ჩაიძირა და 442 ადამიანი დაიღუპა. **1944** წ - ამსტერდამში გესტაპოელებმა დააპატიმრეს ანა ფრანკი, რომლის დღიურები ომის შემდეგ მთელმა მსოფლიომ გაიცნო. **1980** წ - ჯონ ლენონმა და იოკო ონომ უკანასკნელი ალბომის Double Fantasy ჩაწერა დაიწყეს. **1984** წ - ზედა ვოლტას გადაერქვა სახელა და ეწოდა ბურკინა ფასო.

**ამ დღეს წავიდნენ:**

**1900** წ - ისააკ ლევიტანი - რუსი მხატვარი. **1900** წ - ეტიენ ლენუარი - ფრანგი გამომგონებელი, რომელმაც შექმნა პირველი კომერციულად გამოსაყენებლი შიდა წვის ძრავა. **1983** წ - იური ლევიტანი - საბჭოთა რადიოს ცნობილი დიქტორი.

## 5 აგვისტო

**ამ დღეს დაიბადნენ:**

**1604** წ - ჯონ ელიოტი - ინგლისელი მწერალი, ბიბლიის მთარგმნელი. **1737** წ - ანტონიო ფრანკონი - ფრანგული ცირკის შემქმნელი. ინგლისელ ფილიპ ესტლისთან ერთად ითვლება თანამედროვე ცირკის დამაარსებლად. **1815** წ - ედუარდ ჯონ ეირი - ავსტრალიის ინგლისელი მკვლევარი. **1844** წ - ილია რეპინი - დიდი რუსი მხატვარი. **1850** წ - გი დე მოპასანი (Guy de Maupassant) - ფრანგი მწერალი. **1905** წ - არტემ მიქოიანი - ავიაკონსტრუქტორი. **1930** წ - ნილ არმსტრონგი - ამერიკელი ასტრონავტი, რომელმაც 1969 წელს პირველმა დადგა ფეხი მთვარეზე.

**მოვლენები:**

**1858** წ - გაიხსნა პირველი ტრანსატლანტური ტელეგრაფი. დედოფალმა ვიქტორიამ მისალმება გაცვალა აშშ-ს პრეზიდენტთან. **1604** წ - პირველი ელექტრო საგზაო განათება გამოჩნდა კლივლენდში, ოჰაიოს შტატი. **1924** წ - თურქეთის მთავრობამ გააუქმა პოლიგამია. **1940** წ - ლატვია მიიღეს სსრკ-ს შემადგენლობაში. **1949** წ - მიწისძვრა ეკვადორში - იავარქმნილია 2,5 მლნ. კვ. კმ. ტერიტორია, ქალაქი პელილეო მთლიანდ აღიგავა პირისაგან მიწისა; დაიღუპა 6 ათასი ადამიანი. **1953** წ - სემიპალატინსკის პოლიგონზე ააფეთქეს წყალბადის პირველი ბომბი. **1962** წ - მერილინ მონროს იდუმალი თვითმკვლელობა.

**ამ დღეს წავიდნენ:**

**1895** წ - ფრიდრიხ ენგელსი - კომუნიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. **1932** წ - საშა ჩორნი - რუსი პოეტი. **1962** წ - მერილინ მონრო (ნორმა ბეიკერი) - ამერიკელი კინომსახიობი. **1984** წ - რიჩარდ ბარტონი - ჰოლივუდის უელსელი კინომსახიობი; ელიზაბეტ ტეილორის 2-ჯერ ქმარი. **1987** წ - ანატოლი პაპანოვი -რუსი მსახიობი. **1991** წ - სოიჰირო ჰონდა - იაპონელი მეწარმე და ინჟინერი, სახელგანთქმული კომპანიის დამაარსებელი.

(გაგრძელება მე-14-16 გვერდებზე)

**მარტივი ფრაზები ინგლისური ენის შემსწავლელთათვის**

**“Always go to the bathroom when you have a chance.”**

*King George V*

**“A good time to keep your mouth shut is when you’re in deep water.”**

*Sidney Goff*

**“Maybe this world is another planet’s hell.”**

*Aldous Huxley*

**“Friends may come and go, but enemies accumulate.”**

*Thomas Jones*

**“I find television very educating. Every time sombody turns on the set, I go into the other room and read a book.”**

*Groucho Marx*



1. საკურორტო სოფელი ონის რაიონში. 2. პასუხისმგებელი და განმკარგულებელი პირი ზოგიერთ დაწესებულებაში. 3. რა რელიგიური დაწესებულებაა განლაგებული თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე? 4. ქალაქი იაპონიაში, კუნძულ ჰონსიუზე. 5. სამოციანი წლების პოპულალური იუგოსლაველი მომღერალი. 6. მანქანით წინდურად ნაქსოვი ნაწარმი. 7. პირველი მსხვერპლი ადამიანური მტაცებლობისა. 8. რუსული თეატრის დიდი რეფორმატორი. 9. ხაზი. რომელიც დედამიწას ორ თანაბარ ნაწილად ყოფს. 10. ვინ იხარებს მაშინ, „ოდეს მოითვლის მტევნებსა“ (გურამიშვილის აზრით). 11. სპორტის სახეობა. 12. პრაქტიკული სამედიცინო ასპირანტურა. 13. ლენინის თანამებრძოლი ქალი, რომელიც მსოფლიოში პირველ ქალ - ელჩადაა მიჩნეული. 14. ეპისკოპოსთა უმაღლესი წოდებულება. 15. საშუალო ინდური ენების გამაერთიანებელი სახელწოდება. 16. რა შეიძლება უძღოდეს წინ, „ვილას“, თუ ის ბრიტანული სპორტული სამყაროს წარმომადგენელია. 17. სამსახურეობრივი ურთიერთობის სახესხვაობა. 18. ნაცნობობით და ე.წ. „ბლატებით“ შერჩევა სამსახურეობრივი კადრებისა. 19. ყველაზე დაბალი ხმის გამომცემი ხმიანი საკრავი. 20. ოციანი წლების საქართველოს სათავეში მდგომი პიროვნება. 21. ზევსის უახლოესი მდედრი, ბერძნული მითოლოგიის თანახმად. 22. სახელმწიფოებრივი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი. 23. 30-40-იანი წლების რუსული ესტრადის პოპულალური მომღერალი. 24. XVს. დიდი ფრანგი პოეტი. 25. გვარი ჯეკ ლონდონის ერთ-ერთი რომანის მთავარი პერსონაჟისა. 26. ბატონი, პერესი 90-იანი წლების ისრაელის პოლიტიკური ლიდერი. 27. ერთგვარი ტეროზავრი ანუ განმარხებული ქვეწარმავალი. 28. პატივისცემის გამოხატვის ძველი ხერხი. 29. ასოთა მონაცვლეობაზე აგებული ჟანრი ქართული პოეზიისა. 30. ბრიტანეთის კუნძულების სხვა სახელწოდება. 31. პირველ საუკუნეში მოღვაწე რომაელი ორატორი და თეორიტიკოსი ორატორული ხელოვნებისა. 32. მამაკაცურად უძლური მამაკაცი. 33. ამერიკელი მწერალი-პუბლიცისტი ავტორი თხზულებისა „ როგორ მოვიპოვოთ მეგობრები“. 34. უაზრო სიტყვა, რომელსაც აწერდნენ ავგაროზებზე და, რომელსაც ძველი ებრაელებისა და ბერძნების რწმენით მაგიური ძალა გააჩნდა. 35. ტელევიდეო-აუდიო დანადგართა ერთობლიობა. 36. საკურორტო ქალაქი კრასნოდარის მხარეში. 37. გენერლის ან ოფიცრის ფოჩებიანი საპარადო სამხრე ძველად. 38. ათენის აკროპოლისზე აგებული ქალაქი. 39. ერთი და იგივე ქიმიური ელემენტის ატომები (მხოლობით რიცხვში). 40. დაშლა - დანაწევრების პოლიტიკა. 41. აშშ-ს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. 42. რუსული ესტრადის ქართველი მომღერელი. 43. როგორი წელთაღრიცხვის სისტემა იქნა შემოღებული 1582 წ. ქრისტიანულ სამყაროში. 44. იაპონელი მეომარი. 45. კომპიუტერული სპეციალისტი. 46. ჩვენს ტელევიზიაში პროგრამა ვესტნიკის ერთ-ერთი წამყვანი. 47. (მადამ) ბარტო, რუსი საბავშვო მწერალი. 48. მწვანე ნარგავებით დაფარული სივრცე ქალაქში. 49. თავისუფალი ადგილი. 50. ქალაქი, რომლის მისადგომებთანაც მეოცე საუკუნის უდიდესი ბრძოლა გაიმართა. 51. სახელმწიფო აზიაში. 52. ჩვენი ყველაზე „ახლობელი“ ცხოველი. 53. ევროპის ყველაზე მაღალი ჩანჩქერი, რომელიც ნორვეგიაშია განლაგებული. 54. მდინარე კამის მარჯვენა შენაკადი, რუსეთში. 55. ჩვენებური ხილი. 56. დამნაშავეობრივი სამყაროს მეცნიერულად შემსწავლელი პირი. 57. დიდი კოლონიალური სახელმწიფო. 58. პატარა ქალაქი სამხ. აფრიკის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. 59. მამაკაცური ფსევდონიმი ინგლისელი მწერალი ქალის, მერი ენ ევანსისა. 60. თანამედროვე სპორტული სამყაროს ადმინისტრაციული ლიდერი. 61. ქალაქი ბულგარეთში რომელიც მათი საკუთარი ბელადის სახელს ატარებს. 62. მეტისმეტად ხალისიანი სიცოცხლით სავსე ადამიანი. 63. ბულგარელი ფეხბურთელი, ილია... 64. 70-იანი წწ. გფრს ფეხბურთელთა ნაკრების დიდებული მეკარე. 65. სასუნთქი ორგანოს დამცავი მოწყობილობა 66. XVII- XVIII სს. ინგლისელი დრამატურგი. 68. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი. 69. სომხური კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი მამამთავარი. 70. რუსული თეატრისა და კინოს აწგარდაცვლილი მსახიობი. 71. ერთგვარი სურნელოვანი ბალახი. 72. ინგლისური რეფორმაციის მოღვაწე, რომელიც 1555 წელს, მარია ტიუდორის დროს კოცონზე დაწვეს, როგორც ერეტიკოსი. 73. ორაზროვანი მნიშვნელობით ნათქვამი სიტყვა. 74. XVIII-XIX სს. რუსეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე ალექსანდრე I-ის უახლოესი პირი. 75. მაღალი საზოგადოება, როგორც თავად „ისინი“ უწოდებენ მას. 76. რა დაწერეს მარქსმა და ენგელსმა ერთად. 77. სახელი კაცისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ-უნგრულ კულტურულ ურთიერთობებს. 78. ... ლილიან ვოინიჩი, კრაზანას ავტორი. 79. ავსტრალიის უკიდურესი ჩრდილოეთით მდებარე კონცხი. 80. ლოგიკის კნონების შეუსაბამო რამ. 81. სახუმაროდ და საინტრიგანოდ გამიზნული ქმედება. 82. ის, რაც არაფრის დიდებით არ გაჰქონდათ ერთი ყოფილი ტანკისტის ოთახიდან. 83. ნაკლოვანი და ჩრდილოვანი ანუ როგორი?

# აფორიზმების

## ანთოლოგია

**605**. „დღევანდელი“ დღე შენი დარჩენილი ცხოვრების პირველი დღეა.

**უცნობი ავტორი**

**606**. მხოლოდ მცირეოდენნი ცხოვრობენ დღევანდელი დღით, უმრავლესობა მოგვიანებით ცხოვრებისათვის ემზადება.

**ჯონათან სვიფტი**



**607**. ყოველი „გუშინ“ ოდესღაც სანატრელი „ხვალ“ იყო.

**ჰენრიკ იაგოძინსკი.**

**608**. ყოველი ჩვენთაგანის გონება ხვალინდელი დღითაა დაკავებული... ადამიანები კი არ ცხოვრობენ, არამედ ცხოვრებას აპირებენ.

**სენეკა**

**609**. წინდაუხედაობის ერთ-ერთი ფორმა ისაა, რომ ფიქრობდე ზეგინდელ დღეზე, როცა გასავლელი ხვალინდელი გაქვს.

**ჟილბერ სესბორნი**

**610**. საუკეთესო დრო რაიმეს კეთებისა გუშინდელსა და ხვალინდელ დღეებს შუაა მოქცეული.

**უცნობი ავტორი**

**611**. დღევანდელი მოუწესრიგებლობა ხვალინდელი დღის თავისუფლებას ზღუდავს.

**ანრი ამიელი**

**612**. ნუ გადადებ ხვალისათვის იმას, რაც შეგიძლია დღეს გააკეთო...

ხვალ შეიძლება ის აკრძალონ კიდეც.

**უცნობი ავტორი**

**613**. გააკეთე დღეს ის, რის გაკეთებასაც ხვალ აპირებ; თქვი ხვალ ის, რის თქმასაც დღეს აპირებ.

**კაზიმეჟ ტეტმაიერი**

**614**. სანამ ხვალინდელი დღე არ დადგება, შენ ვერ გაიგებ, თუ რა ლამაზია დღევანდელი დღე.

**ლეონარდ ლუის ლევინსონი**

**615**. „დღევანდელი“ დღეს განეკუთვნებიან მხოლოდ ისინი, ვინც აკეთებს ხვალინდელი დღის საქმეს.

**კაროლ იჟიკოვსკი**

**616**. ნუ გადადებ ხვალისათვის იმას, რის დახარჯვაც დღეს შეგიძლია.

**უცნობი ავტორი**

**617**. რაც წავიდა, გუშინ იყო, არვინ იცის ხვალ რა მოვა,

წარსულზე და მომავალზე განა გიღირს დღეის გლოვა?

**ომარ ხაიამი**

**618**. ყველას აქვს წარსული, ყველა ცოდვილს კი მომავალიც გააჩნია.

**ოსკარ უაილდი**

**619**. სულ არ არის აუცილებელი იყო ანგელოზი, რათა წმინდანად შეგრაცხონ.

**ალბერტ შვეიცერი**

**620**. წმინდანი მასზე მეტი ჰგონიათ, ვიდრე ადამიანი უნდა იყოს, წმინდანის ბრმად მოთაყვანე ბევრად ნაკლებია, ვიდრე ადამიანს შეეფერება...

მაშ, სადაა ადამიანი?!

**უცნობი ავტორი**

**621**. უფრო ადვილია მიბაძო წმინდანს, ვიდრე იყო წმინდანი.

**უცნობი ავტორი**

**622**. შეუძლებელი სასწაულებს იქმოდე და წმინდანი იყო.

**ალექსანდრ ფიურსტენბერგი**

**623**. ამქვეყნად არიან წმინდანებიც და ბანდიტებიც. პირველნი მოქმედებენ იმ ჩარჩოებში, რაც მეორეებმა დაადგინეს.

**ჰენრიკ ელცენბერგი**

**624**. ადამიანები იყოფიან წმინდანებად, რომლებიც საკუთარ თავს ცოდვილად მიიჩნევენ და ცოდვილებად, რომლებიც საკუთარ თავს წმინდანებად თვლიან.



**თარაზულად**: 1. მომავლის გეგმები ანუ ვისიმე ან რისამე შესაძლებლობანი მომავალში. 7. ადამიანთა ან საგანთა ჩამონათვალი. 10. სერიალი, სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს კროსვორდს უკან დამალული ქალბატონი ასრულებს. 11. ქალაქი უზბეკეთში, ხორეზმის ოლქში. 12. ქვეშაგების სახესხვაობა. 13. ოპტიკური მოვლენა, როცა ნათელი საგნები ბნელ ფონზე უფრო დიდად ჩანან. 14. ნივთიერება, რომელსაც გამოიმუშავებს თირკმელზედა ჯირკვალი. 18. რა ერქვა შეედ მსახიობ ქალს, ებერგს? 19. როგორი სიყვარული ახასიათებდათ ბიძია ბაბუას და ერთაოზს სატრფოებისადმი. 21. როგორ განისაზღვრება ელიბოს სტატუსი მარანთან მიმართებაში? 23. შუაცეცხლის თავზე ამოჭრილი ადგილი. 24. ჯარის ან ფლოტის გადაადგილება საომარ ვითარებაში. 25. ჩრდილოეთის ცის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი. 28. მთიანი ყარაბახის ადმინისტრაციული ცენტრი. 29. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დათვი მულტიპლიკაციის სფეროდან. 31. მწვანილი, რომელიც „მეორედაც მოდის“ თბილისელი „ყარაჩოხელების“ აზრით. 33. სამართალმცოდნე პიროვნება. 34. ვადაგაგრძელებული სტუდენტი. 37. მოზაიკაში გამოყენებული პატარა კუბები ან ფირფიტები. 40. დროებით დასახლებული ტერიტორია. 41. ცნება, რითაც ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე ი.ჭავჭავაძის მიმდევრებს მოიხსენიებდა. 43. სამკურნალო მცენარე. 44. კუბის შემადგენელი ნაწილი. 45. მდგომარეობა (თუნდაც) საერთაშორისო სამართალში.

